საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ
(გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ)

სტრასბურგის სასამართლომ დასაშვებად სცნო საქმე – ***საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) (განაცხადი №38263/08),*** რომელიც რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ შეიარაღებულ კონფლიქტს ეხება.

<u>საქმის ძირითადი ფაქტობრივი გარემოებები</u>

2008 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოაცხადა საომარი მდგომარეობა 15 დღის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნორმების სრული დაცვით.

საქართველომ 2008 წლის 11 აგვისტოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ამ საქმესთან დაკავშირებით შეიტანა განაცხადი. იმავე დღეს, საქართველომ სასამართლოს თხოვნით მიმართა რუსეთის წინააღმდეგ დროებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის თანახმად. 2008 წლის 12 აგვისტოს 39-ე მუხლზე დაყრდნობით სასამართლომ საქართველოსა და რუსეთს მოუწოდა, დაეცვათ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები – კერძოდ, კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლის (წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) მოთხოვნების დაცვა. მას შემდეგ, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის მოქმედების ვადა რამდენჯერმე გაგრძელდა და ამჟამად ისევ ძალაშია.

საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა და მათი კონტროლის ქვეშ მყოფმა სეპარატისტულმა ძალებმა განახორციელეს არაპროპორციული შეტევა საქართველოს ორი ავტონომიური რეგიონის – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის – მოქალაქეებზე და მათ საკუთრებაზე. საქართველოს მხარემ განაცხადა, რომ რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიის ოკუპირება კონფლიქტის დაწყებიდან და მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის 8 ოქტომბერს ისინი გავიდნენ ამ ტერიტორიებიდან, რუსეთს კვლავ ოკუპირებული აქვს ეს რეგიონები, სადაც ხორციელდება ე.წ. *de facto* ხელისუფლების მმართველობა. საქართველოს მთავრობის მტკიცებით, რუსეთის მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენების შედეგად ასობით ადამიანი დაიღუპა, დაიჭრა, დააპატიმრეს ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ათასობით მოქალაქემ დაკარგა საკუთრება, დაენგრათ სახლები და აიძულეს დაეტოვებინათ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

საქართველოს მთავრობამ კვალავაც განაცხადა, რომ ის შედეგები და რაიმე სახის გამოძიების შემდგომი არარსებობა, რომელიც რუსეთის მხარეს უნდა ჩაეტარებინა, დაკისრებული აქვს კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), მე-5 (თავისუფლებისა და

უსაფრთხოების უფლება), მე-8 (პირადი და ოჯახური დაცულობის უფლება) და მე-13 მუხლებით (ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი), ასევე კონვეციის პირველი ოქმის I მუხლით (საკუთრების დაცვა), პირველი ოქმის II მუხლით (განათლების უფლება) და მეოთხე ოქმის II მუხლით (მიმოსვლის თავისუფლება).

რუსეთის ფედერაციის მთავრობამ გააპროტესტა საქართველოს მთავრობის განცხადება, რომელიც მიიჩნია დაუსაბუთებელ, გაუმართლებელ და დასაშვებობისთვის საკმარისი მტკიცებულებების არმქონედ. მათ აღნიშნეს, რომ ეს კონფლიქტი უშუალოდ უკავშირდებოდა საქართველოს მხრიდან 2008 წლის 7-8 აგვისტოს ცხინვალზე და იქ მცხოვრებ მოქალაქეებზე განხორცილებულ შეიარაღებულ თავდასხმას. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა თავდასხმის ნაცვლად დაიცვეს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა საქართველოს მხრიდან განხორციელებული შეტევებისაგან.

ამას გარდა, რუსეთის მთავრობამ აღნიშნა, რომ მას არ მოუხდენია იმ ტერიტორიების ოკუპაცია, სადაც მისი არმია მოძრაობდა სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში ან საქართველოში. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამხედრო ძალები არ არიან რუსეთის შეიარაღებული არმიისა თუ მშვიდობის მყოფელთა სამხედრო შენაერთების ნაწილი და მოქმედებდნენ დამოუკიდებლად, რუსეთის შეიარაღებული ძალების მითითებებისა თუ დახმარების გარეშე.

<u>სასამართლოს გადაწყვეტილება</u>

რუსეთის პასუხისმგებლობა და იურისდიქცია

სასამართლომ შეგვახსენა, რომ „იურისდიქციის“ კონცეფცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად არ არის აკრძალული იმ სახელმწიფოების ეროვნულ ტერიტორიაზე, რომელთაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება. სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს მათი ხელისუფლების ქმედებების გამო, რომელთაც საკუთარი ტერიტორიების ფარგლებს გარეთ აქვთ შედეგები. ანალოგიურად სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შესაძლოა დადგეს მაშინ, როდესაც ის კანონიერად, თუ უკანონოდ ახორცილებს საკუთარი ეროვნული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ არსებულ არეალზე ეფექტურ კონტროლს.

სასამართლომ დაადგინა, რომ მას არა აქვს საკმარისი მტკიცებულება ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყტვეტილების მისაღებად. შესაბამისად, სასამართლომ გაიზიარა საქმის ფაქტობრივი გარემოებები რუსეთის ფედერაციის მიმართ წაყენებულ პრეტენზიებთან დაკავშირებით იმის თაობაზე, რომ განაცხადი შეუთავსებელი იყო ადამიანის უფლებათა ვეროპულ კონვენციასთან, რადგან რუსეთის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში და მეზობელ რეგიონებში.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი

სასამართლომ ხაზი გაუსვა რუსეთის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენები უნდა განიხილებოდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით და არა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, რადგან საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული შეიარაღებული კონფლიქტი საერთაშორისო ხასიათს ატარებდა.

ამის შემდეგ სასამართლო დაეყრდნო თავის ადრეულ პრეცედენტულ სამართალს, რომლის თანახმადაც დაასკვნა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ეფექტური გამოძიების ჩასატარებლად იმ შემთხვევაშიც აგრძელებს მოქმედებას, როცა უსაფრთხოების პირობების დაცვა რთული იყო, შეიარაღებული კონფლიქტიების შემთხვევების ჩათვლით. საერთაშორისო კონფლიქტების ზონაში, კონვენციის ხელშემკვრელი სახლემწიფოები ვალდებულები იყვნენ დაეცვათ იმ ადამიანების სიცოცხლე, რომლებიც საერთოდ არ მონაწილეობდნენ ან, უკვე აღარ მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ არც საქართველომ და არც რუსეთმა კონფლიქტის პერიოდში არ მოითხოვა კონვენციის რომელიმე ნორმიდან უკან დახევა. შესაბამისად, სასამართლომ გადაწყვიტა მიუერთდეს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს რუსეთის მიმართ წაყენებულ პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომ კონვენციის ნორმები არ შეესაბამება სადაო მოვლენებს.

საქართველოს მიერ შეტანილი განაცხადი მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში

სასამართლომ უარყო რუსეთის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მსგავსი განაცხადი უკვე შეტანილი ჰქონდა საქართველოს მთავრობას მართლმსაჯულების საერთაშორისო სასახლეში და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს უარი უნდა ეთქვა წარმოდგენილი განაცხადის განხილვაზე.

სასამართლომ აღნიშნა: ვინაიდან მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ 2011 წლის აპრილში დაადგინა, რომ საქართველოს მიერ შეტანილი განაცხადი არ ხვდებოდა მისი იურისდიქციის ფარგლებში, საქმის განხილვა იქ აღარ უნდა წარმართულიყო. სასამართლომ შეგვახსენა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად სასამართლო არ განიხილავს განაცხადებს, რომლებიც უკვე შეტანილია სხვა საერთაშორისო ორგანოში, რომელიც ეხება მხოლოდ ინდივიდუალურ პირს, და არა სახელმწიფოთაშორის განაცხადებს.

შიდა სამართლებრივი ზომების ამოწურვა და ექვსთვიანი ვადის დაცვა

სასამართლო შეგვახსენებს, რომ შიდა სამართლებრივი ზომების ამოწურვის წესი, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოთა შორის არსებულ საქმეებზე, ისევე მოქმედებს, როგორც ინდივიდუალური განაცხადების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც აპლიკანტი სახელმწიფო ჩივის ადმინისტრაციული პრაქტიკით ოფიციალურად ნებადრთულ ანალოგიური აქტებზე, რომლებიც არღვევენ კონვენციას.

საქართველოს მხრიდან წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობის შესახებ არსებული განცხადებები არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც მთლიანად დაუსაბუთებელი ან არ საჭიროებდეს რეალურ განცხადებებს, როგორც ეს კონვენციის 33-ე მუხლითაა მოთხოვნილი.

მიუხედავად ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ სხვა დარჩენი საკითხების განხილვა, რომლებიც ეხება ამგვარი ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობასა და მასშტაბებს, ისევე როგორც კონვენციის ნორმებთან მის შესაბამისობას, დაკავშირებულია საქმის არსებით გარემოებებთან და არ შეიძლება განიხილებოდეს დასაშვებობის სტადიაზე.

სასამართლომ შემდგომში მიიჩნია, რომ შიდა სამართლებრივი ზომების ამოწურვის შესახებ წესის გამოყენება ძალიან მჭიდროდ უკავშირებოდა ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობას და რომ ეს ორივე საკითხი ერთობლივად უნდა გათვალისწინებულიყო საქმის არსებითი გარემოებების განხილვისას.

და ბოლოს, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველომ განაცხადი წარადგინა 2009 წლის 6 თებერვალს, რაც ექვს თვეზე ნაკლებ პერიოდში მოხდა 2008 წლის 7 აგვისტოს დაწყებული მოვლენების შემდეგ. შესაბამისად, საქართველოს მხრიდან დაცული იყო ექვსთვიანი ვადა.

დასკვნა

სასამართლომ განაცხადი გამოაცხადა დასაშვებად საქმის არსებითი გარემოებების შეფასების გარეშე.